აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №29

პეტიცია - ,,პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ (09-02-13-გ/1069, 26.12.2022წ. ავტორი,- ინგა გეგეშიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1]-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს 430 მოქალაქის მიერ მხარდაჭერილი პეტიცია - ,,პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ (09-02-13-გ/1069, 26.12.2022წ. ავტორი,- ინგა გეგშიძე) შესწავლისა და განხილვის მიზნით, გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, ხოლო სავალდებულო კომიტეტად განისაზღვროს,- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
20 აპრილი, 2023 წელი
№6

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

19/04/2023
N 631

631-09-02-11-3-202304191658

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია - „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ (N09-02-13-გ/1069, 26.12.2022 წელი, პეტიციის ავტორი: ინგა გეგეშიძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 2 (ორი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

09-01-08/48
19.04.2023
16 ფურცელი

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

30/01/2023
N 117

117-09-02-11-3-202301301152

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 26 დეკემბერს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - „**პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ**“ (09-02-13-გ/1069, 26.12.2022 წ. პეტიციის ავტორი: ინგა გეგეშიძე). წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 28 დეკემბერს, მხარდამჭერების შეგროვების მიზნით (არანაკლებ 200 მხარდამჭერი), გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2023 წლის 28 იანვარს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 430 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „14„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: ინგა

ავტორის გვარი: გეგეშიძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Inga

ავტორის გვარი ბარათიდან: Gegeshidze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ

პეტიციის შინაარსი

საახალწლო პიროტექნიკისგან არასათანადო გამოყენების ან ხარისხიდ გამო ყოველწლიურად საქართველოში მრავალი ადამიანი ზიანდება. პიროტექნიკური საშუალებების გამოყენება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ადამიანებისთვის, არამედ ფრინველებისა და ქუჩაში მცხოვრები ცხოველებისთვის.
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 27 ადამიანი დაშავდა. თბილისში დაშავდა რვა ადამიანი, მათ შორის ერთი არასლუწლოვანი. ჰოსპიტალიზირებულია ექვსი პაციენტი სხვადასხვა მიდამოს დაზიანებებით. 2021 წლის სტატისტიკის მიხედვით - 31 დეკემბერსა და პირველ იანვარს პიროტექნიკის გამოყენების შედეგად საქართველოს მასშტაბით უკვე დაშავდა 81 ადამიანი. ანალოგიური სურათია ყოველ წელს. მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით პიროტექნიკის არასრულწლოვნისთვის მიყიდვა დასჯადია, კანონის გვერდის ავლით ბავშვებისთვის კვლავ ხელმისაწვდომია ისინი.
უხარისხო, ან დაბალი ხარისხის ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებასთან ერთად პიროტექნიკის მომხმარებლების მიერ არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები. პიროტექნიკის გამოყენება ხდება აივნებზე, ქუჩებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში, ამის გამო განსაკუთრებით დიდი ზიანი ადგება მათ გარშემომყოფი ადამიანების უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას; ზიანი ადგება გარემოს და ეკოლოგიას, რადგან არაპროფესიონალების მიერ პიროტექნიკის გამოყენების შედეგად ჰაერში იფრქვევა მავნე და ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც აბინძურებენ ჰაერს. მაღალი რისკის ქვეშ არიან ჩვილები და მოხუცები, მოულოდნელი „აფეთქების“ ხმამ შეიძლება გამოიწვიოს ხერიოზული გართულებები ჯანმრთელობის კუთხით.
ასევე დიდი საფრთხის ქვეშ არიან ცხოველები ხშირ შემთხვევაში ეს ლატალური გამოსავალით სრულდება. დაბალი სამოქალაქო თვითშეგნების, არაინფორმირებულობისა და არაკომპეტენტურობის გამო სამოყვარულო დონეზე გამოყენებული პიროტექნიკა საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი „იდეატორი“ პეტიციის სახით წარმოგიდგენთ პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ ინიციატივას - დარწმუნებულები ვართ, რომ ეს სიახლე ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის საჭირო ინიციატივაა, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნას.

0902-13-3/1069
1
26 12 22

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/12/2022
N 2193

2193-09-02-11-3-202212281538

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე
მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ პეტიციის თაობაზე

(N09-02-13-გ/1069, 26.12.2022 წ. პეტიციის ავტორი: ინგა გეგეშიძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ მოქალაქე ინგა გეგეშიძის 2022 წლის 26 დეკემბრის N09-02-13-გ/1069 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი